

ლელა ციხელაშვილი

მესამე ირიბობიექტური პირის მარკირების საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშანთა ხმარების საკითხი დღეს, ასე თუ ისე, მოგვარებულია. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, მოქმედებს შემდეგი წესი: „ა) არ იქნეს ხმარებული **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები II სუბიექტური პირის აღსანიშნავად; ბ) იხმარებოდეს **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად“ [ნორმები 1970: 193]. ამავე პირის აღმნიშვნელად ფონეტიკური ფაქტორის გათვალისწინებით ნულოვანი ალომორფი გვაქვს ხმოვნების, სონანტებისა და სპირანტების (რ, ლ, მ, ნ, ვ, ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ) წინა პოზიციაში. გამონაკლისის სახით **ს-**ს ხმარება საჭიროდაა მიჩნეული რამდენიმე ზმნასთან (გასტანს, გასწევს, ასწევს, გამოსცემს, გასცემს^{*)}**, რომელთაც, მართალია, არ ეწყობა *Оз^რ*, მაგრამ „**ს-** აქ ფუძესაა შეხორცებული“ [ნორმები 1970: 202]. III ირიბობიექტური პირის მარკირების სავალდებულოდ გამოცხადებით მოხდა პირდაპირი და ირიბი ობიექტების ფორმობრივი დიფერენციაცია III პირში (ამ წესს სიცხადე შემოაქვს ლაბილური კონსტრუქციის ზმნებშიც, რომელთაც ირიბი ობიექტი ხან ეწყობა, ხან – არა: მოსჭრა – მოჭრა, მოსწმინდა – მოწმინდა, მოსტება – მოტება, მოჰგლიჯა – მოგლიჯა, გადასდო – გადადო, სცხელა – ცხელა, ჩამოსდის – ჩამოდის...), რამაც ბოლო მოუღო უსისტემობას **ჰ-**, **ს-** პრეფიქსთა ხმარებაში.

მიუხედავად შემუშავებული კანონზომიერებისა, ეს წესები ხშირად ირღვევა, ზოგჯერ სპეციალისტთა მიერაც. ამიტომ მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მარკირების საკითხი დღესაც პრობლემურ საკითხად რჩება, რაც არაერთხელ აღნიშნულა

*ფაქტობრივ, **ს-** პრეფიქსით იხმარება **ც** ძირის მქონე ზმნები: *გადმოსცა* (მან ინფორმაცია), *დასცა* (მან მოწინააღმდეგე).

** ამ ზმნებს შეიძლება დაემატოს: *სცადა*, *დასძინა*, *სწადის*, *შემოსძახა* (მან სიმღერა), თუმცა, ვ. იმნაიშვილის აზრით, აღნიშნული ტიპის ზმნები **ს-** პრეფიქსს არ საჭიროებენ III ირიბობიექტური პირის უქონლობის გამო [იმნაიშვილი 2001: 57-65].

კიდევ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში [იმნაიშვილი 2001, ციხელაშვილი 2005, ლლონტი 2006, ზეკალაშვილი 2008 და სხვ.*].

ჰ-, ს- პრეფიქსებს, სხვა პირების ნიშნებისგან განსხვავებით, არა აქვთ მკაცრი დისტრიბუცია: ხშირად არ გვხვდებიან იქ, სადაც, ნორმის მიხედვით, მოსალოდნელია (მაგ.: *კითხა, ქონდა, ძინავს, წყურია, დაკარგვია, შედავებიხარ, წვევია, მოჩვენებია, გაქვავებია, გაქრობია, შევილებოდე, გაყინოდა, ყოლოდა...*), ან ჩნდებიან იქ, სადაც არ არის მოსალოდნელი (მაგ.: *მოჰკლა, გასტეხა, შესძლო, ჰყვავის, სჩანდა, ჰფეთქავს, შეჰკრთა, ჰგმინავ, ჰბუღტავ, ჰგალობდა, აჰხედ-ჩაჰხედა, ჰშველის...*). რაც მთავარია, **აღნიშნული პრეფიქსების კლება ან ზედმეტად ხმარება არ იწვევს მნიშვნელობის დაბნელებას**. ენას არ ეუცხოება არც ნორმების მიხედვით მართებული, არც – მცდარი ფორმები. ასეთი უსისტემობა ამ ალომორფთა ხმარებაში იმის მაუწყებელია, რომ **ქართული ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე მათ არ მოეძებნებათ მკაცრად განსაზღვრული მორფოლოგიური ფუნქცია** [ონიანი 1978: 97]. ეს მოვლენა ჯერ კიდევ ა. შანიძემ შენიშნა, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა აღნიშნული საკითხი: „ახალ სალიტერატურო ქართულში ეს პრეფიქსები (S₂ და O₃ პირებისა – ლ. ც.) მკვდარია და მათი გაგებისათვის გრამატიკული ალლო და გრძნობა სრულიად დაჩლუნგებულია“ [შანიძე 1981: 222]. გ. ახვლედიანის აზრით, „**ჰ-** სალიტერატურო ქართულში იხმარება იშვიათად და, თუ იხმარება, არა მორფოლოგიური, არამედ ემოციური დანიშნულებით“ [ახვლედიანი 1999: 109]. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ **დღეს ეს ელემენტები უფრო ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციით იხმარება, სტილიზაციისათვის, ვიდრე მორფოლოგიური ფუნქციით** [ციხელაშვილი 2005: 254]. სხვაგვარად ვერ ავხსნით ამ პრეფიქსთა თავისუფალ ხმარებასა და დისტინქციური უნარის უქონლობას. თუ ასევე თავისუფლად, არადანიშნულებისამებრ ვიხმაროთ სხვა პირების მარკერებს, ეს, ცხადია, მნიშვნელობის დაბნელებას გამოიწვევს, აქ კი ასეთ ვითარებასთან არა გვაქვს საქმე. როგორც ვხედავთ, სინქრონიული ანალიზი ფუნქციურად ამკარად განასხვა-

* ამავე საკითხზე წაიკითხა მოხსენება მ. ნიკოლაიშვილმა („მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნების (ჰ-, ს-) ყოფნა-არყოფნის საკითხი“) ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე, რომელიც გაიმართა თსუ-ში 2013 წლის 15 აპრილს.

ვენს, ერთი მხრივ, S₂ და O₃ პირებისა და, მეორე მხრივ, სხვა პირების ნიშნებს.

მართალია, „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, S₂ და O₃^{პირდ.} პირები არამარკირებულია, მაგრამ O₃^{ორ.} პირის ალომორფების ნულთან თავისუფალი მონაცვლეობა იძლევა იმის საფუძველს, რომ სინქრონიულ დონეზე ეს პირიც პირობითად (თუ ნორმების ზეწოლას არ გავითვალისწინებთ) პირის რომელობის მიხედვით ოპოზიციის არამარკირებულ წევრად მივიჩნიოთ და ვისაუბროთ არა ეკვიპოლენტურ, არამედ პრივატულ ოპოზიციასზე*.

ერთ-ერთი გარემოება, რამაც ასევე შეიძლება დაგვაფიქროს მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნის მორფოლოგიური ფუნქციის არსებობა-არარსებობაზე, გახლავთ შემდეგი: S₂ და O₃ პირების მორფემა ისტორიულად ფორმობრივ ერთია. რას უნდა გამოეწვია რომელობისა და რაგვარობის მიხედვით განსხვავებული პირების ერთნაირად მარკირება? ხერხდება თუ არა მათ შორის რაიმე საერთოს დამებნა? ვფიქრობთ, პასუხი ცალსახად უარყოფითია. S₂ და O₃ პირები ფუნქციურად მკვეთრადაა გამიჯნული დღესაც და ისტორიულადაც, ასე უნდა ყოფილიყო საერთოქართველურშიც [ციხელაშვილი 2005: 254].

ამდენად, სინქრონიული ანალიზი ექვევემ აყენებს მესამე ირიბობიექტური პირის მარკირების აუცილებლობას, მაგრამ ამ საკითხზე საუბრისას, ჩვენი აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს ისტორიულ ვითარებასაც.

როგორც ცნობილია, მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნად ძველ ქართულში, ხანმეტობის დროს, დასტურდებოდა **ბ**-პრეფიქსი, ხოლო ჰაემეტობისას – **ჰ**-პრეფიქსი. მაგრამ, აღნიშნული ფუნქციის გარდა, ეს პრეფიქსები იხმარებოდა კიდევ რამდენიმე დანიშნულებით: ა) S₂ და მიცემით ბრუნვაში მდგარი O₃ (როგორც ირიბის, ისე პირდაპირის, თუ ეს უკანასკნელი ე. წ. „ჰყოფს“ ტიპისაა) პირების მარკერად (*ბჭამ, მეობ-ხეყავ, დახწერ...*); ბ) ი-პრეფიქსიანი ვნებითი

* რადგან ქართულში მარკირებულია I და II ობიექტური პირები, ბუნებრივია, III ობიექტური პირის მარკირება აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. O₃^{ორ.} პირის ნიშნების ხმარების აუცილებლობა შესაძლოა გამართლებული იყოს მხოლოდ III პირში პირდაპირი და ირიბი ობიექტების ფორმობრივი დიფერენციაციის მიხედვით.

გვარის სამივე პირის ფორმასთან* (*ხყავ, ხიყავ, ხიყო*); გ) ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხარისხის ფორმების მაწარმოებელ ცირკუმფიქსებში (*ხუდიდღსი, ხუფროდსი, ხუმჯობღს...*)**.

ცნობილია, რომ ძველი ქართული მკაცრად ნორმირებული ენის შთაბეჭდილებას ტოვებს. S₂ და O₃ პირების მორფემათა ხმარების ნორმები ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში, ერთი შეხედვით, მკაცრადაა დაცული (ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული სკოლები ცდილობენ ამ პრინციპის ბოლომდე გატარებას), მაგრამ ვხვდებით დარღვევებსაც, განსაკუთრებით ეს ეხება O₃-ის მარკირებას. S₂-ის მარკირებისას დარღვევები ნაკლებია: შესაძლოა ზმნაში არ იყოს წარმოდგენილი ამ პირის მორფემა: *შეურაცხ-ყოთ* [მ. 18: 10], *ნუ კლავ, ნუ იპარავ* [მრკ. 10: 19], *უწყითა* [მრკ. 10: 42; ლ. 2: 49], *ისმინი* [ჰაემ. 388: 17], *ისმინე* [ჰაემ. 388: 17], *იხილოთ* [ჰაემ. 386: 6].

გაცილებით მეტი დარღვევა გვაქვს O₃ პირის მარკირებისას, კერძოდ, ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში შესაძლოა O₃^{ორ} პირის ნიშნად გვქონდეს *ღ: მეობ ეყავ* [ადარნერსე ჯპატოსის წარწერა], *უჩუენე* [მ. 8: 4], *შეწირე* [მ. 8: 4], *შუენის* [ხანმ. მრავ. 128: 14-15; 129: 5-6; 130: 4], *ალუთქუა* [ჰაემ. 368: 3], *მოუჯდა* [ჰაემ. 370: 13] და სხვ. შესაძლოა პირის ნიშანი არ ჰქონდეს მიცემით ბრუნვაში მდგარ ე.წ. „ჰყოფს“ ტიპის O₃^{პირდ} პირსაც: *განრცხიდეს* [ჰაემ. 383: 30], *იტყოდა* [ჰაემ. 369: 22; 370: 14-15; 386: 22], *იტყოდეს* [ჰაემ. 371: 23; 376: 19; 378: 20; 380: 17; 382: 3]...

ძველ ქართულში შესაძლოა ზმნას არ ეწყობოდეს O₃^{ორ}, მაგრამ ზმნაში მისი ნიშანი წარმოდგენილი იყოს (საინტერესოა, რომ ამ ტიპის ყველა ზმნა ვერ ერთიანდება ე.წ. „დაჰზადა“ ტიპში): *მოხაქიოს* [ოქსფ. 305: 13], *დახთესეთ* [კემბ. 36: 8-9], *ხუწყოდეთ* [ხანმ. ლექც. 63: 1]**, *გამოხცეს* [ხანმ. ლექც. 63: 21], *დახუფარო* [პროტ. 21: 22], *დაჰთესი* [ჰაემ. 385: 5], *მიხიყვანის* [მ. 7: 13], *დახკრიბეს* [მ. 21: 36], *დახფაროს*

* ე-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში **ხ-/ჰ-** პრეფიქსი მესამე ირიბობიექტურ პირის ნიშნად კვალიფიცირდება, ამიტომ ამ ფუნქციას ცალკე აღარ გამოვყოფთ.

** ჰაემეტობისას ყველა მოყვანილი ფორმა წარმოდგენილი იქნებოდა **ჰ-** პრეფიქსით.

*** ზმნა I ბრძანებითის მწკრივშია და, ამდენად, **ხ-**ს S₂-ის მორფემად ვერ მივიჩნევთ. ძველ ქართულში ბრძანებითის მწკრივებში S₂-ის უნიშნობა მორფოლოგიური აკრძალვაა.

[ლ. 8: 16] და სხვ.* როგორც ჩანს, მწერლისა თუ გადამწერისათვის ეს პრეფიქსები იმდენად არაბუნებრივი იყო, რომ მათს ხმარებას ორ-თოგრაფიის წესებიც კი ვერ აწესრიგებდა.

ე. წ. სანნარევობისას, IX საუკუნიდან**, **ჰ**- პრეფიქსი იკარგება ხმოვნის წინა პოზიციასში, შესაბამისად, იგი აღარაა წარმოდგენილი პრეფიქსიანი ვნებითი გვარისა (*ვიყავ, იყავ, იყო, ვეყავ, ეყავ, ეყო...*) და უფრობითი ხარისხის ფორმებში (*უდიდესი, უფროსი...*). იგი სხვა ფუნქციებით განაგრძობს არსებობას /**ჰ**- ~ **ს**- ~ **Ø**/ ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფების სახით, მაგრამ ძველი ქართული ენის მეორე ქვეპერიოდში, IX-XI საუკუნეების ძეგლებში, დარღვევათა რაოდენობა აშკარად მატულობს***. სამწერლობო ენაში ამ მხრივ არსებულ დარღვევათა სიხშირე გვაპარაუდებინებს, რომ იმ ეპოქის ცოცხალ მეტყველებაში ამ მოვლენას უფრო მასშტაბური ხასიათი ექნებოდა. სამართლიანად შენიშნავს ზ. სარჯველაძე: „**ს**₂ და **ო**₃ პირების ნიშანთა ხმარების დარღვევები მიუთითებენ, რომ **ჰ**- და **ს**- პრეფიქსები უკვე IX-XI საუკუნეების ცოცხალ მეტყველებაში მკვდარი იყო (ვგულისხმობ ცოცხალ მეტყველებას, რომელსაც ემყარებოდა იმ ეპოქის სალიტერატურო ენა)“ [სარჯველაძე 1984: 393].

საშუალ ქართულში უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს აღნიშნულ პრეფიქსთა უსისტემო ხმარება: პრეფიქსი არ ჩანს იმ შემთხვევაში, როცა, ძველი ქართულის ნორმების თანახმად, მოსალოდნელია, ან ზედმეტადაა ნახმარი იქ, სადაც მისი გაჩენის არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ არსებობს. XIX საუკუნის ქართული მწერლობა ამ მხრივ, ძირითადად, ანტონის ნორმებს მისდევს და დიდ სიჭრელეს ავლენს****. როგორც ცნობილია, ანტონ კათალიკო-

* დაწვრილებით იხ. ციხელაშვილი 2005.

** ცოცხალ მეტყველებაში **ს**- პრეფიქსიანი ფორმების არსებობა უკვე VII საუკუნიდან ივარაუდება. **ს**- პრეფიქსიანი ფორმა დასტურდება უკვე VII საუკუნით დათარიღებულ ხანმეტ ოთხთავში (*დასთესის* [მრკ. 4: 26]) [სარჯველაძე 1995: 129].

*** შესაძლოა, **ჰ**- პრეფიქსის ნაცვლად წარმოდგენილი იყოს **ს**- (*სზი* [იადგ. 50: 17], *მოსრწყეთ* [Sin.-34 42r:11], *შესზავებედ* [შატბ. კრებ. 98r:8-9b]... [სარჯველაძე 1984: 391]) ან, პირუკუ, **ს**-**შ**- ს ნაცვლად – **ჰ**-: *დაჰკედ* [იადგ. 90:20].

**** მაგ., ქართველი რომანტიკოსებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია **ჰს**-კონტამინაციური პრეფიქსის გამოყენება **ს**-ს ნაცვლად: *ჰსწყურთ* [ალ. ჭავჭ. 15: 40], *ჰსძღვს* [ალ. ჭავჭ. 15: 59], *ჰსდევს* [ორბ. 15: 104]... ან სადაც მოსალოდნელი არ არის: *ჰსჩანს* [ალ. ჭავჭ. 15: 52], *ჰსწყობს* [ორბ. 15: 104], *ვჰსტიროდი* [ორბ. 15: 100] [მელიქიშვილი 1999: 70, 75, 91]. მე-19 საუკუნის სამწერლობო ქართულში შედარებით

სისა და მისი სკოლისათვის დამახასიათებელია **ჰ**- პრეფიქსის მოჭარბებულად ხმარება, ამასთანავე, **ჰს**- მრჩობლი (კონტამინაციური) პრეფიქსის უსისტემოდ გამოყენება (*ვჰსთქუამ, ვჰსჰმუნავ, ვჰსჩან, ვჰსთქუ**... [ანტონ I 1997: 51]). ა. შანიძის აზრით, „... კათალიკოზისათვის ამ პრეფიქსს (ცალად **ჰ**-ს, ტყუპად **ჰს**-ს) წმინდა მორფოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს: მისთვის იგი არც **ს**₂-ია და არც **ო**₃, არამედ რაღაც სამკაული, რომელიც საჭიროა ზმნის ფორმაში აკუსტიკური შთაბეჭდილების გასამლიერებლად“ [შანიძე 1981: 221].

როგორც ვხედავთ, აღნიშნული პრეფიქსების ხმარებაში უსისტემობა შეინიშნება არა მარტო სინქრონიულ დონეზე, არამედ დიაქრონიულადაც. განა შეიძლება მორფოლოგიური ღირებულებისა და დისტინქციური უნარის მქონე მორფემა ენაში უსისტემოდ იხმარებოდეს? რა თქმა უნდა, არა. ამ მხრივ ნიშანდობლივია გ. ახვლედიანის მოსაზრება: „გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულშიც კი (საშუალოზე ლაპარაკი ზედმეტია) ეს მოვლენები მკვდარი ყოფილა, რადგან ფორმათა არევა მხოლოდ ამ ფაქტის შედეგი შეიძლება იყოს. ალბათ გაცილებით ადრე დაკარგულა ავტორის პრეფიქსების ბუნების შეგნება, თუ მათი მართლწერაც კი არეულია ძველებში: მართლწერა მუდამ უკან რჩება ენის განვითარებას: შესაძლოა, მართლწერა სასტიკად იყოს დაცული, მაგრამ ცოცხალ გამოთქმას იგი არ შეეფერებოდეს... ვინ იცის, ქართულს, როგორც ასეთს, შეიძლება არასოდეს არ ქონია **ს**₂ და **ო**₃-ის პრეფიქსების ხმარება აურეველი“ [ახვლედიანი 1923: 100].

ამგვარად, **ჰ**-, **ს**- პრეფიქსებს არ ემეზნება გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქცია არც სინქრონიულ და არც დიაქრონიულ დონეზე. ამის გათვალისწინებით ათიოდე წლის წინ ჩვენ შევეცადეთ სხვაგვარად დაგვესვა **ს**₂ და **ო**₃ პირების მარკერებად მიჩნეული პრეფიქსების გენეზისის საკითხი. კერძოდ, **ჰ**- (> **ხ**-) პრეფიქსი ისტორიულად ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულად მივიჩნიეთ და მისი არსებობა ფშინვიერ შემართვას – ასპირაციას დავუკავშირეთ, რომელიც საერთოქართველურისთვის უნდა ყოფილიყო დამახასია-

ნაკლები ინტენსივობით შეინიშნება აგრეთვე **ხ**-ს ნაცვლად **ჰ**- პრეფიქსის გამოყენება: *ჰთქვი* [ერისთ. 6: 251], *ჰწოდეს* [ერისთ. 6: 333], *ჰჩანს* [ჯორჯ. 16: 560] [მელიქიშვილი 1999: 94]. გვხვდება სხვა ტიპის დარღვევებიც.

* აღნიშნული ფორმები იმიტაც იქცევენ ყურადღებას, რომ **ჰს**- მრჩობლი პრეფიქსი წარმოდგენილია **ს**₁-ის **გ**- პრეფიქსთან ერთად.

თებელი. **მეორეულია მათი მორფოლოგიზაცია** [ციხელაშვილი 2005]. „ქართველურ ენათა ისტორიული მონაცემებით დასტურდება, რომ ფშვინვიერი შემართვა-დამართვა ქართველურ ენათა ფონეტიკური სტილისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ყოფილა. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ძველი ქართულის მონაცემები და, მეორე მხრივ, ქართველურ ენათა ცოცხალი დიალექტების მონაცემები [ჟღენტი 1965: 112]. „როგორც ჩანს, ძველ ქართულს იგი მეტად ახასიათებდა, ვიდრე ე.წ. ჰაემეტობის პერიოდში“ [ახვლედიანი 1999: 109].

ქართველურ ენათაგან ასპირაცია თავდაპირველად მეგრულ-ლაზურში უნდა მოშლილიყო (ჩვენი აზრით, სწორედ ამით უნდა აიხსნას აქ *Sz* და *Oz* პირების უნიშნობა), შემდეგ – ქართულში. ფშვინვიერი შემართვა დღესაც მოქმედი ფონეტიკური მოვლენაა სვანური ენის ბალსზემოურსა და ბალსქვემოურ დიალექტებსა და ჭანურის ვიწურ-არქაზულ კოლოკავში [ჟღენტი 1965: 112]. სვანურში გვაქვს ერთი ჯგუფი ქართულიდან შესული სახელებისა, რომლებთანაც ქართულში ფშვინვიერი შემართვა არ ჩანს, სვანურში კი ისინი ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული **ჰ** ელემენტითაა წარმოდგენილი, მაგ.:

ქართული	სვანური
<i>არაყი</i>	ბზ. <i>ჰარაყ</i>
<i>აბჯარი</i>	ბზ., ბქ. <i>ჰაბჯარ</i>
<i>ავეჯი</i>	ბზ. <i>ჰავეჯ</i> და სხვ.

სვანურში ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის შემდგომი განვითარებისას **ჰ > ხ**, მაგ., *ჰარაყ > ხარაყ*, *ჰასაკ > ხასაკ* და სხვ. [ჟღენტი 1965: 22]. შდრ.: ქართ. *ჰო/ხო* (ფშვინვიერი შემართვა), *ოჰ/ოხ*, *უჰ/უხ*, *ეჰ/ეხ*, *ვაჰ/ვახ* და სხვ. (ფშვინვიერი დამართვა).

ქართულის დიალექტთაგან ინგილოურში შეინიშნება **ჰ** ბგერის განვითარება ანლაუტში **ო**, **უ** ხმოვნების წინ: *ჰუყვარს*, *ჰუხარიან*, *ჰუმღერის*, *ჰუთქომ*... ა. შანიძის აზრით, „**ჰაეს წარმოშობას თავკიდურის უნის წინ ზმნის ფორმებში არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ უძევს, არამედ იგი წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა** იმგვარადვე, როგორც იმავე ჰაეს გაჩენა უნისა და ონის წინ ანლაუტში და, მამასადაძვე, **ლაპარაკი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების შესახებ ხმოვნების წინ, ინგილოური მასალების მიხედვით, შეუძლებელია** (ხაზი ჩვენია – ლ. ც.)“ [შანიძე 1981: 266]. ვფიქ-

რობთ, ა. შანიძის აღნიშნული მოსაზრება ანგარიშგასაწევია, როცა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **Оз*** პირის მარკირებაზე ვსაუბრობთ.

ჩვენი აზრით, **როგორც ძველი სამწერლობო ენის, ისე თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმები მიზნად ისახავდა ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული ჰ- ელემენტისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების უსისტემოდ ხმარების სისტემატიზაციამორფოლოგიზაციას* და ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერების შემუშავებას.** მაგრამ ცნობილი ფაქტია, რომ ხელოვნურად, ნორმებით, ენას თავს ვერ მოახვევ წესებს და ვერ შეცვლი მისი განვითარების კანონზომიერ პროცესს. დარღვევები ამ პირების ნიშანთა ხმარებაში სწორედ იმის მაუწყებელია, რომ **ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული ელემენტის მორფოლოგიზაცია ბოლომდე ვერ გატარდა, ენისთვის ეს ელემენტი მაინც უფუნქციო და მორფოლოგიურად ქარბი დარჩა.**

მესამე ირიბობიექტური პირის მარკირებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია არა მარტო **ჰ-ს-** პრეფიქსის მორფოლოგიური ფუნქციის გარკვევა, არამედ **ენის განვითარების ტენდენციაზე** დაკვირვება ამ კუთხით. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, „II სუბიექტური პირის აღსანიშნავად **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ იხმარება. მაგრამ **თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამ პრეფიქსებს ჯერ კიდევ აქვთ შენარჩუნებული III ირიბობიექტური პირის გამოხატვის ფუნქცია** (ხაზი ჩვენია – ლ. ც.)“ [ნორმები 1970: 193]. სწორედ ამ რეალური ვითარების საფუძველზე იქნა შემუშავებული ის წესები, რომელთა თანახმად, ნორმას წარმოადგენს II სუბიექტური პირის უნიშნობა და III ირიბობიექტური პირის მარკირება. ნორმებში ასახული რეალური ენობრივი ვითარება აშკარად მიუთითებს ენის განვითარების ტენდენციას ამ კუთხით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ხ-/ჰ-** პრეფიქსი ძველ სამწერლობო ქართულში იხმარებოდა რამდენიმე ფუნქციით, რომელთაგან ყველაზე ადრე იგი დაიკარგა პრეფიქსიანი ვნებითი გვარისა და უფროობითი ხარისხის ფორმებში, ხოლო უფრო მოგვიანებით მან დაკარგა II სუბიექტური და III პირდაპირო-

* პირის მორფემად გადააზრებული პრეფიქსი განზოგადდა თანხმოვნების წინაც და ამ გზით პარადიგმა „გასწორდა“.

ბიექტური პირის გამოხატვის ფუნქცია. თუკი **ჰ**- პრეფიქსის დაკარგვას ფონეტიკურ ნიადაგზე ავხსნით პრეფიქსიან ვნებითებსა და უფროობითი ხარისხის ფორმებში (მის დაკარგვას განაპირობებს ხმოვნის წინა პოზიცია), ყველა შემთხვევაში ასეთსავე ახსნას ვერ მოვუძებნით მის გაქრობას II სუბიექტური და III პირდაპირობიექტური პირების ნიშნად (აქ უკვე სხვა ფაქტორიც მოქმედებს – მორფოლოგიური ფუნქციის უქონლობა). როგორც ვხედავთ, **საკითხის დიაქრონიულ ჭრილში განხილვა აშკარად ცხადყოფს ენის განვითარების ტენდენციას ამ კუთხით: ჰ- პრეფიქსი (თუ მისი ფონეტიკური ვარიანტი) იკარგება ისტორიულად მისი ხმარების ყველა შემთხვევაში, უფრო ზუსტად, მას ახასიათებს გაქრობის ტენდენცია.** ცხადია, გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქციის არსებობის შემთხვევაში ენა ასე ადვილად ვერ შეეგუებოდა მორფოლოგიური ფორმანტის დაკარგვას. ერთადერთი ფუნქცია, რომელიც **ჰ**-, **ს**- პრეფიქსებს „ჯერ კიდევ აქვთ შენარჩუნებული“, ნორმების თანახმად, III ირიბობიექტური პირის გამოხატვაა* და ისიც არამყარი. **ამ ფუნქციითაც აღნიშნულ პრეფიქსს ახასიათებს გაქრობის ტენდენცია.** ნორმების ზეწოლა აშკარად ხელოვნურად აფერხებს ამ პროცესს, თუმცა ენის განვითარების ტენდენცია ამ კუთხით აშკარაა და ადრე თუ გვიან მოგვიწევს ამ ფაქტს ანგარიში გავუწიოთ. ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში ენაში მიმდინარე პროცესები სამწერლობო ენაშიც პოულობს ასახვას და ის, რაც გარკვეულ საფეხურზე ანომალიას, დარღვევას წარმოადგენდა, მოგვიანებით ნორმის სახეს იღებს. ამის გათვალისწინებით ჩვენი დამოკიდებულებაც პრობლემური საკითხისადმი ადეკვატური უნდა იყოს: დროული შეფასება უნდა მიეცეს ენაში მიმდინარე კანონზომიერ პროცესებს.

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ III ირიბობიექტური პირის მარკერებად მიჩნეული **ჰ**-, **ს**- პრეფიქსებისთვის გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქციის უქონლობას (მათს ხმარებას, ძირითადად, ექსპრესიული ფუნქციით, სტილიზაციისათვის), ასევე, ენის განვითარების ტენდენციას ამ კუთხით (**ჰ**- პრეფიქსისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების** გაქრობის ტენდენციას), ადრე თუ გვიან მოგვი-

* რაშიც ჩვენ ეჭვი გვეპარება.

** ჩვენი აზრით, ხანმეტობისთვის ნიშანდობლივი **ს**- პრეფიქსიც **ჰ**-სგანაა მიღებული (**ჰ**- > **ს**-) [ციხელაშვილი 2005: 290].

წევს იმის აღიარება, რომ აღნიშნული პრეფიქსებისთვის III ირიბობიექტური პირის ნიშნებად გამოცხადება ენისთვის თავსმოხვეული წესი იყო, **ჰ-**, **ხ-** პრეფიქსთა ხმარებაში არსებული უსისტემობის აღმოფხვრით მოტივირებული, და ახლო მომავალში შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს არსებული ნორმის გადახედვის საკითხი*.

რ. ზექალაშვილის აზრით, „უნიშნო ფორმების დაკანონება სალიტერატურო ენის ნორმად ერთბაშად გამართლებული არც იქნება. მართლაცდა, რა დააშავა იმ ხალხმა, ვინც ნორმების მიხედვით მართებულად იყენებს ამ პეფიქსებს და იცავს სალიტერატურო ენის დღეს მოქმედ წესებს? ამას გარდა, ზოგ სიტყვას ისე შეეზარდა ეს ნიშნები, რომ მათ გარეშე ძნელიც კია წერა (მაგ., მისცა, შესთავაზა, დაჰყურებს, გამოსცა, ჰყავს, ჰქონია და სხვ.), მაგრამ შეიძლება ნორმის მოთხოვნის მიმართ სიმკაცრის შერბილება და, თუ მაინცდამაინც ვერ ველევით, დავუშვათ, რომ ეს პრეფიქსები სტილისტური და ემოციური მიზნით გამოიყენონ“ [ზექალაშვილი 2008: 25-26].

ჩვენი აზრით, თუკი სალიტერატურო ენის ნორმის დადგენა გულისხმობს „ამ პრეფიქსების მორფოლოგიური დანიშნულების მოწესრიგებას“ [ნორმები 1970: 193] და, ამასთანავე, ვაღიარებთ, რომ S₂ და O₃ პირები ოპოზიციის არამარკირებული წევრებია, ხოლო **ჰ-/ხ-** პრეფიქსს არ მოეპოვება მორფოლოგიური ფუნქცია, ბუნებრივია, **ლინგვისტურად ყველაზე მართებული მიდგომა იქნება, თუკი, S₂ და O₃ პირების მსგავსად, ნორმის სახეს მივცემთ O₃ პირის უნიშნობასაც.** მართალია, ამ შემთხვევაში III პირში აღარ გვექნება პირდაპირი და ირიბი ობიექტების ფორმოზრთვი დიფერენციაცია, მაგრამ ამის აუცილებლობა ენაში არც ისტორიულად უნდა ყოფილიყო. O₃ პირის უნიშნობის დაშვებით მოგვიწევს იმის აღიარებაც, რომ **ჰ-, ხ-** დღეს (და მანამდეც) უფრო ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციით იხმარება, ხოლო ამ ფუნქციით ნახმარი პრეფიქსები შეუძლებელია გარკვეულ კანონზომიერებას დაუქვემდებარო და მათს ხმარებას ნორმის სახე მისცე.

ასეთია რეალური ვითარება, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე O₃ პირის უნიშნობის სალიტერატურო ნორმად გამოცხადება კიდევ უფრო მეტად გაურკვეველს გახდის ისედაც პრობლემურ მოვლენას, თუმცა ენის განვითარების ტენდენციის გათვალისწინე-

* მით უმეტეს, რომ ამ საკითხს უკვე მიექცა ყურადღება საენათმეცნიერო წრეებში.

ბით ეს საკითხი ადრე თუ გვიან დღის წესრიგში უსათუოდ დადგება. მანამდე კი შეიძლება ვიფიქროთ ამ მიმართულებით ნორმების მოთხოვნის შერბილებაზე.

ლიტერატურა

ანტონ I – ანტონ პირველი, ქართული დრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ე. ბაბუნაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. კვიციანი, ლექსიკონი დაურთო ე. ბაბუნაშვილმა, თბილისი.

ახვლედიანი 1999 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

ზექალაშვილი 2008 – რ. ზექალაშვილი, სალიტერატურო ენის ცვლილებები და ნორმები (წერილი მესამე), ზმნის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 1.

იმნაიშვილი 2001 – ვ. იმნაიშვილი, **ჰ** და **ს** პრეფიქსების ხმარებისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 3.

მელიქიშვილი 1999 – მ. მელიქიშვილი, მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირთა პრეფიქსები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ სალიტერატურო ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, 4.

ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი.

ონიანი 1978 – ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.

ჟღენტი 1965₁ – ს. ჟღენტი, ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ძირითადი თავისებურებანი, რჩეული შრომები, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი.

ჟღენტი 1965₂ – ს. ჟღენტი, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სვანურში, რჩეული შრომები, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

სარჯველაძე 1995 – ზ. სარჯველაძე, კიდევ ერთხელ ხანმეტობისა და ჰაემეტობის ურთიერთმიმართების შესახებ, ფილოლოგიური ძიებანი, ეძღვნება გ. კარტოზიას, თბილისი.

ღლონტი 2006 – ხ. ღლონტი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრობლემა ახლო წარსულში და დღეს, საენათმეცნიერო ძიებანი, XXI.

შანიძე 1981₁ – ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბილისი.

შანიძე 1981₂ – ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბილისი.

ციხელაშვილი 2005 – ლ. ციხელაშვილი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, XIX.

წყაროები (შემოკლებანი)

იადგ. – უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980.

კემბ. – ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ენიმკის მოამბე, II (1), თბილისი, 1937.

ოქსფ. – ოქსფორდის პალიმფსესტი, ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, IX, თბილისი, 1996.

პროტ. – ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XX, თბილისი, 1977.

ხანმ. ლექც. – ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, ძველი ქართული ენის ძეგლები, I, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1944.

ხანმ. მრავ. – ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, თბილისი, 1927.

ხანმ. ოთხო. – ლ. ქაჯაია, ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ, თბილისი, 1984.

ჰაემ. – ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფილისი, 1923.

Lela Tsikhelashvili

On Marking the Third Indirect Objective Person in the Modern Literary Georgian Language

Summary

According to „the Modern Georgian literary language standards“ the norms are the unmarked S_2 and O_3^{dir} persons and the marked O_3^{indir} person. In our opinion the prefixes **h-** and **ს-** of the O_3^{indir} person do not have distinct morphological features on neither synchronic nor diachronic levels. If we take the tendency of the language development in this regard into account (the tendency of disappearing the prefix **h-** and its phonetic variants) we think that it will be a linguistically appropriate approach if we consider the unmarked O_3^{indir} person as a norm just like S_2 and O_3^{dir} persons.